

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

**დადგენილება №38
2016 წლის 5 დეკემბერი**

ქ. გურჯაანი

„გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 დეკემბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-80 მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 დეკემბრის №50 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი – www.matsne.gov.ge, 10/12/2015, 190020020.35.166.016248) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**გურჯაანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე**

ვანო ბერიძეშვილი

თავი I

გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდი	საკუთარი შემოსულობები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდი	საკუთარი შემოსულობები
I. შემოსავლები	16 255.8	15 313.3	5142.6	10170.7	15502.4	4862.6	10639.8
გადასახადები	1 831.3	1 645.0	00	1645.0	3763.5	00	3763.5
გრანტები	13 134.0	12 288.0	5142.6	7145.4	10793.0	4862.6	5930.4
სხვაშემოსავლები	1 290.2	1 380.3	00	1380.3	945.9	00	945.9
II. ხარჯები	8 151.1	8 820.0	120.8	8699.2	9287.8	8.4	9279.5
შრომის ანაზღაურება	1641.1	1809.3	00	1809.3	1925.7	00	1925.7
საქონელი და მომსახურება	1809.7	1140.0	2.1	1137.9	1764.7	8.4	1756.3
პროცენტი	270.7	235.2	00	235.2	195.2	00	195.2
სუბსიდიები	3535.1	3916.9	00	3916.9	3952.1	00	3952.1



გრანტები	00	489.6	00	489.6	117.5	00	117.5
სოციალური უზრუნველყოფა	893.4	1017.2	00	1017.2	1098.2	00	10988.2
სხვახარჯები	1.1	211.8	118.6	93.1	234.5	00	234.5
III. საოპერაციო სალდო	8104.6	6493.3	5021.8	1471.5	6214.6	4854.2	1360.3
არაფინანსური აქტივების ცვლილება	7228.2	6402.8	4918.1	1484.7	6999.2	4970.4	2028.8
ზრდა	7339.8	6852.0	4918.1	1933.9	7399.2	4970.4	2428.8
კლება	111.7	449.3	00	449.3	400.0	00	400.0
V. მთლიანი სალდო	876.5	90.5	103.7	-13.2	-784.6	-116.1	-668.5
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	591.5	-225.3	103.7	-319.0	-1391.8	-116.1	-1275.7
ზრდა	591.5	103.7	103.7	00	00	00	00
ვალუტადადებოზიტები	591.5	103.7	103.7	00	00	00	00
კლება	00	329.0		329.0	1391.8	116.1	1275.7
ვალუტა და დებოზიტი	00	329.0		329.0	1241.8	116.1	1125.7
სესხები	00	00	00	00	150.0	00	150.0
VII. ვალდებულებების ცვლილება	-285.0	-315.9			-607.2	00	-607.2
კლება	285.0	315.9		-315.9	607.2	00	607.2
საშინაო	285.0	315.9		-315.9	607.2	00	607.2
VIII. ბალანსი	00	00	00	00	00	00	00

მუხლი 2. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასხდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასხდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

		2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა
2014			



დასახელება	წლის ფაქტი						
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდი	საკუთარი შემოსულობები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდი	საკუთარი შემოსულობები
შემოსულობების	16367,4	15762,5	5142.6	10619.9	16052.4	4862.6	11189.8
შემოსავლები	16255,8	15313,3	5142.6	10170.7	15502.4	4862.6	10639.8
არაფინანსური აქტივების კლება	117,1	449.3	00	449.3	400.0	00	400.0
ფინანსური აქტივების კლება	00	00	00	00	150	00	150
გადასახდელები	15775,9	15987,9	5038.9	10949.0	17294.2	4978.7	12315.5
ხარჯები	8151,1	8820,0	120.8	8699.2	9287.8	8.4	9279.5
არაფინანსური აქტივების ზრდა	7339,8	6852,0	4918.1	1933.9	7399.2	4970.4	2428.8
ვალდებულების კლება	285,0	315,9	00	315.9	607.2	00	607.2
ნაშთის ცვლილება	591,5	-225,3	103.7	-329.0	-1241,8	-116.1	-1125,7

მუხლი 3. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 15502.4 ათასი ლარით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდი	საკუთარი შემოსულობები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდი	საკუთარი შემოსულობები
შემოსავლები	16255,8	15313,3	5142.6	10170.7	15502.4	4862.6	10639.8
გადასახადები	1831,3	1645,0	00	1645.0	3763.5	00	3763.5
გრანტები	13134,3	12288,0	5142.6	7145.4	10793.0	4862.6	5930.4
სხვა შემოსავლები	1290,2	1380,3	00	1380.3	945.9	00	945.9

მუხლი 4. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 3763.5 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა
გადასახადები	1831,3	1645,0	3763.5



საშემოსავლო გადასახადი	00	00	1350,0
ქონების გადასახადი	1831,3	1645,0	2413.5
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	663,6	572,2	1150
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	00	00	00
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	19,3	18,5	21,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	583,8	531,2	672.5
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	564,5	523,1	570,0
სხვა გადასახადები ქონებაზე	00	00	00
სხვა გადასახადები	00	00	00

მუხლი 5. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 10793.0 ათასი ლარით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა
გრანტები	13134,3	12288,0	10793.0
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	00	00	00
გათანაბრებითი ტრანსფერი	6826,4	6985,4	5770,4
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	160,0	160,0	160,0
სპეციალური ტრანსფერი	6147,9	5142,6	4862.6
მ.შ. საქართველო მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	00	00	00
მ.შ. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	5049,6	4047,0	3573.6



სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	1098,3	1095,6	1129,00
სხვა მიმდინარე ღონისძიებები - სტიქია	00	00	160,0

მუხლი 6. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 945.9 ლარის ოდენობით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	1290,2	1380,3	945.9
შემოსავლები საკუთრებიდან	285,1	199,6	130.9
პროცენტი	171,4	108,3	45.0
დივიდენდი	00	00	00
რენტა	113,8	91,3	85.9
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	100,2	74,4	70.0
შემოსავალი მიწის იჯარაიდან დამართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობადასხვა) გადაცემიდან	13,6	16,9	15,9
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	157,5	359,5	80,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	131,6	326,7	65,0
სანებართვო მოსაკრებელი	10,1	92,3	20,0
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	00	0,1	00
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,8	0,4	00
სათამაშო ბიზნესისი მოსაკრებელი	120,6	234,0	00
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	00	00	45.0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	00	00	00
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	26,0	32,7	15,0
ჯარიმები სანქციები და საურავები	721,9	696,4	650.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი	125,7	124,8	85.0



მუხლი 7. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 9287.8 ათასი ლარით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდი	საკუთარი შემოსულობები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდი	საკუთარი შემოსულობები
ხარჯები	8151,1	8820,0	120.8	8699.2	9287.8	8.4	9279.5
შრომის ანაზღაურება	1641,1	1809,3	00	1809.3	1925.7	00	1925.7
საქონელი და მომსახურეობა	1809,7	1140,0	2.1	1137.9	1764.7	8.4	1756.3
პროცენტი	270,7	235,2	00	235.2	195,2	00	195,2
სუბსიდია	3535,1	3916,9	00	3916.9	3952.1	00	3952.1
გრანტები	00	489,6	00	489.6	117.5	00	117.5
სოციალური უზრუნველყოფა	893,4	1017,2	00	1017.2	1098.2	00	1098.2
სხვა ხარჯები	1,1	211,8	118.6	93.1	234,5	00	234,5

მუხლი 8. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 6999.2 ათ.ლარით ნაცვლად 6994.7 ათასი ლარისა. მათ შორის:

ა) განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 7399.2 ათასი ლარით, ნაცვლად 7394.7 ათასი ლარისა, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
			სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდი	საკუთარი შემოსულობები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდი	საკუთარი შემოსულობები
01 00	'წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	211,8	122,2	00	122.2	381.9	12.4	369.5
02 00	'თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	3,4	00	00	00	1,0	00	1,0
03 00	'ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და	6416,7	5530,3	4281.1	1249.2	5898.3	4114.3	1784.0



	ექსპლუატაცია							
04 00	საგანმანათლებლო ღონისძიებები	504,1	764,2	535.1	229.1	850.1	777.5	72.5
05 00	'კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	203,8	435,3	101.9	333.4	267.9	66.1	201.8
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	00	00	00	00	00	00	00

ბ) განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 400.0 ათასი ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	111,7	449,3	400.0
ძირითადი აქტივები	27,3	291,8	250,0
არაწარმოებული აქტივები	84,3	157,4	150,0
მიწა	84,3	157,4	150,0

მუხლი 9. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია
განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ფუნქცი- ონალური კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი		2016 წლის ბიუჯეტის გეგმა			
		სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3 061,9	2 640,1	0,0	2 640,1	3 224,7	12,4	3 212,3
7011	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 722,5	2 365,0	0,0	2 365,0	2 987,5	12,4	2 975,1



70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 660,1	2 329,0	0,0	2 329,0	2 887,5	12,4	2 875,1
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	62,4	36,0	0,0	36,0	100,0	0,0	100,0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	270,7	235,2	0,0	235,2	195,2	0,0	195,2
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	68,7	39,9	0,0	39,9	42,0	0,0	42,0
702	თავდაცვა	123,3	101,9	0,0	101,9	127,9	0,0	127,9
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	447,9	471,1	0,0	471,1	0,0	0,0	0,0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	447,9	471,1	0,0	471,1	0,0	0,0	0,0
704	ეკონომიკური საქმიანობა	3 894,5	2 863,2	2 396,7	466,5	4 481,0	3 477,0	1 004,0
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	213,4	41,8	0,0	41,8	377,8	160,0	217,8
70421	სოფლის მეურნეობა	213,4	41,8	0,0	41,8	377,8	160,0	217,8
7045	ტრანსპორტი	3 588,8	2 821,4	2 396,7	424,7	3 970,5	3 279,3	691,2
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	3 588,8	2 821,4	2 396,7	424,7	3 970,5	3 279,3	691,2
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	92,3	0,0	0,0	0,0	132,8	37,8	95,0
705	გარემოს დაცვა	1 033,0	736,0	141,7	594,3	926,7	86,1	840,6
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	537,1	514,3	74,6	439,7	601,0	0,0	601,0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	440,9	161,7	67,1	94,6	256,1	86,1	170,0
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	55,0	60,0	0,0	60,0	69,6	0,0	69,6



706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	2 926,2	3 359,0	1 836,4	1 522,6	2 149,2	551,2	1 598,0
7061	ბინათმშენებლობა	496,4	44,4	43,9	0,5	0,0	0,0	0,0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	2 012,3	2 890,7	1 703,6	1 187,1	1 428,5	249,5	1 179,0
7063	წყალმომარაგება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7064	გარე განათება	417,5	423,9	88,9	335,0	720,7	301,7	419,0
707	ჯანმრთელობის დაცვა	80,6	89,6	0,0	89,6	92,4	0,0	92,4
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	80,6	89,6	0,0	89,6	92,4	0,0	92,4
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1 115,5	1 786,2	101,9	1 684,2	1 757,4	67,6	1 689,7
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	367,9	497,9	38,4	459,5	617,7	20,8	596,9
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	673,9	1 149,9	34,6	1 115,2	930,2	16,0	914,2
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	44,1	94,3	0,0	94,3	95,6	0,0	95,6
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	29,5	44,1	28,9	15,2	113,9	30,9	83,0
709	განათლება	1 784,5	2 427,8	536,8	1 891,0	2 659,0	784,4	1 874,6
7091	სკოლამდელი აღზრდა	1 750,5	2 391,8	536,8	1 855,0	2 614,0	784,4	1 829,6
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	34,0	35,9	0,0	35,9	45,0	0,0	45,0
710	სოციალური დაცვა	1 023,5	1 171,6	0,0	1 171,6	1 288,2	0,0	1 288,2
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	130,1	154,4	0,0	154,4	170,0	0,0	170,0
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	3,8	2,0	0,0	2,0	5,0	0,0	5,0



7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	352,5	388,7	0,0	388,7	410,7	0,0	410,7
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	506,1	598,4	0,0	598,4	610,0	0,0	610,0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	31,0	28,1	0,0	28,1	72,5	0,0	72,5
	სულ	15 490,9	15 646,4	5 013,5	10 632,9	16 686,5	4 978,7	11 707,8

მუხლი 10. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -784.6 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -1391.8 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -607,2 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 13. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 100,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 14. სახლმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი
1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 160,0 ათ.ლარი მიიმართოს:
ა) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 84,4 ათ. ლარით;
ბ) ააიპ – საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური 75,6 ათასი ლარით.

თავი II

გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 15. ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)
ა) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 02)

პროგრამის აღწერა: შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით ხორციელდება მოსწავლეთა პირველადი აღრიცხვა, წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება და სამედიცინო შემოწმება, ასევე სარეზერვო ძალების მობილიზება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:



· არსებული რესურსებისა და თავდაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესებისათვის მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებისა და გაწვევის კოორდინაცია;

თავდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული გეგმის მაქსიმალური შესრულება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები: გაწვეულთა რაოდენობა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა, გათვალისწინებულია წყალმომარაგების ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები. გატარდება კეთილმოწყობის ღონისძიებები. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ქვეპროგრამები:

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (03 01)

კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (03 02)

სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა (03 02)

კეთილმოწყობის სამუშაოები (03 03)

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა გზების მოვლა-შენახვა და რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

- მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- მოსახლეობის შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- საგზაო შემთხვევების შემცირებული რაოდენობა;
- არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის შენარჩუნება და გაუმჯობესება.

·

ბ.ა) წყლის სისტემების რეაბილიტაცია - ექსპლოატაცია.

(პროგრამული კოდი 03 02 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლების სასმელი წყლის სათავე-ნეგებობის, წყალმომარაგების ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები;

სოფლად ახალი ჭაბურღილების ბურღვა და სოფლის ახალი წყალმომარაგებით უზრუნველყოფა;

მოსალოდნელი შუალედური შედეგი



- მოსახლეობის წყალმომარაგების მდგომარეობის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- მეტი სოფლის წყალმომარაგება.

.

ბ.ბ) ააიპ „ გურჯაანის მუნიციპალური სერვისი“

(პროგრამული კოდი 03 02 02 02)

პროექტის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლების წყლის სათავე ნაგებობების, რეზერვუარების, შიდა-საუბნო და ცენტრალური ქსელების მოვლა-პატრონობა, სკვერების, სასაფლაოების მოვლა-პატრონობა;

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

- სოფლების მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების რეგულირება და დაზიანების სწრაფი აღმოფხვრა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- მოსახლეობის წყალმომარაგების კუთხით შექმნილი შეფერხებების მაქსიმალურად მოკლე ვადაში აღმოფხვრა და დაზიანებების შემცირების ხელშეწყობა.

ბ.გ) გარე განათება (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია არსებული ქსელის მოვლა-პატრონობა; ახალი ქსელის მოწყობა, მომსახურების ხარისხიანობის დონის ამაღლება; მოხმარებული ელ. ენერგიის ღირებულების დაფარვა;

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

- ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა;

- კრიმინალური ფაქტორების შემცირება;

- განათებული ქუჩების რაოდენობა და განათების ინტენსივობა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- მაქსიმალურად განათებული ქალაქისა და სოფლის ცენტრალური ქუჩები.

ბ.დ) დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 04 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად და მუნიციპალიტეტის სოფლებიდან კვირაში ორჯერ განხორციელდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა; ყოველდღიურად დაიგეგმება ქალაქის ქუჩები, სკვერები, ბაღები და მოედნები. თვეში ორჯერ დასუფთავდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი ცენტრალური მაგისტრალის (55კმ) მიმდებარე ტერიტორია და მოხდება ქალაქ გურჯაანში ნონეშვილისა და წმ.ნინოს ქუჩების გადარეცხვა.

შუალედური შედეგი

- ეკოლოგიური და სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესება.



შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ქალაქის ტერიტორიაზე დაგვილი და დასუფთავებული ქუჩების რაოდენობის ზრდა;
- მოსახლეობაზე ორიენტირებული სუფთა და ეკოლოგიური გარემოს შექმნა.

ბ.ე) ააიპ „ნიადაგის, წყალმომარაგებისა და დასუფთავების წესების დაცვაზე ზედამხედველობის სამსახური“ (პროგრამული კოდი 03 02 04 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ნიადაგისა და წყლის საანალიზო სინჯების აღება არსებულ სანიტარიულ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე კონტროლის, მასობრივი არაგადამდები დაავადებებისა და მოშხამვების აღმოცენების მიზეზების აღმოჩენის, ჰაერის, წყლის, ნიადაგისა და სხვა აუცილებელი ლაბორატორიული კვლევისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მათი შესაძლო მავნე ზეგავლენის შეფასების მიზნით.

შუალედური შედეგი

- ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოზე ზრუნვის ხელშეწყობა. ჯანმრთელი და არაინფიცირებული მოსახლეობის რაოდენობა.

გ) სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების აზომვითი ნახაზების მომზადების, ძირითადი ქონების აუდიტორული შეფასების სამუშაოები; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხევების გაწმენდისა და ნაპირსამაგრი სამუშაოები.

გ.ა) თვითმმართველობის საკუთრებაში გადმოსაცემი ქონების, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პასპორტირებისა და აუდიტორული მომსახურება (პროგრამული კოდი 03 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება აუქციონზე გასაყიდად გასატანი მიწებისა და ძირითადი ქონების შეფასება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

- ადგილობრივი შემოსავლების გაზრდა;
- მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა;
- მუნიციპალური შენობების იერსახის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ახალი სამუშაო ადგილების შექმნა.
- ინვესტიციების ზრდა.

გ.ბ) ხევების რეაბილიტაციისა და ნაპირსამაგრი სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხევების პრევენციული გაწმენდა-რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი



- საცხოვრებელი სახლების, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და სოფლის გზების დატბორვის საშიშროების აღმოფხვრა;

- ტრანსპორტის შეუფერხებელი გადაადგილება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ხევებზე წყალგამტარიანობის გაუმჯობესება;
- უსაფრთხო, გაწმენდილი ხევების რაოდენობის ზრდა.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

სკოლამდელი განათლების და პროფესიული დაოსტატების ხელშემწყობი ღონისძიებების დაფინანსება თვითმმართველი ერთეულის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

ა) სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების დაფინანსება

(პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია 37 სკოლამდელი-სააღმზრდელო დაწესებულება, სადაც სწავლობს 2150 აღსაზრდელი. გათვალისწინებულია დღეში ორჯერადი კვება, თითოეულ ბავშვზე კვების ხარჯი დღეში 1,10 ლარს შეადგენს.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

- აღსაზრდელთა შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფა;
- საბავშვო ბაგა-ბაღებში გაუმჯობესებული სააღმზრდელო პროცესი.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- სათანადოდ აღჭურვილი საბავშვო ბაღების რაოდენობა;
- აღსაზრდელთა რაოდენობა.

ბ) პროფესიული განათლების ხელშეწყობა

(პროგრამული კოდი 04 03)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ააიპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრის“ დაფინანსება; ბავშვთა პიროვნული განვითარებისა და თავისუფალი შემოქმედებითი აზროვნებისა და პროფესიული დაოსტატების ხელშემწყობი ღონისძიებები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

- მოზარდთა შემოქმედებითი-საგანმანათლებლო ღონის ამაღლება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- მოზარდთა დაინტერესების ზრდა და მათი შემოქმედებით-საგანმანათლებლო აქტივობის ამაღლება.
- წარჩინებულ პირველკურსელთა წახალისება
- პროგრამის ფარგლებში ხორციელდება უმაღლესი შედეგის მქონე (გრანტის მიმღები) პირველკურსელზე ერთჯერადი ფულადი ჯილდოს გაცემა.



მოსალოდნელი შუალედური შედეგი

მოზარდთა საგანმანათლებლო დონის ამაღლება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

· მოზარდთა დაინტერესების ზრდა და მათი შემოქმედებით-საგანმანათლებლო აქტივობის ამაღლება.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

სპორტისა და კულტურული განვითარების ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. შესაბამისად, დაგეგმილია სპორტული და კულტურული ობიექტების, სახელოვნებო სკოლების, მუზეუმების, ბიბლიოთეკების, ასევე სპორტისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების დაფინანსება. ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

- სპორტის განვითარების ხელშეწყობა
- კულტურის განვითარების ხელშეწყობა
- ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტის სხვადასხვა სახეობაში (ჭიდაობა, ფეხბურთი, ჭადრაკი, კრივი, ფრენბურთი, კალათბურთი, მკლავჭიდი, რაგბი) ახალგაზრდობის ჩართულობა; ჩასატარებელ რაიონულ და საქალაქთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა და მათი ჩატარების ორგანიზება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

· სპორტული ღონისძიებისა და სრულყოფილი სასპორტო-საგანმანათლებლო ღონისძიებების ხელშეწყობა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- სპორტის სხვადასხვა სახეობაში გამარჯვებულთა და პრიზიორთა რაოდენობის ზრდა;
- ახალგაზრდობის სპორტულ-გამაჯანსაღებელ სექტორში ჩართულ მოზარდთა რაოდენობის ზრდა;
- ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა.

ა.ა) სპორტული სკოლები (პროგრამული კოდი 05 00)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ააიპ „სპორტული სკოლის“, ააიპ „გურჯაანის სპორტული კომპლექსის“, ააიპ საფეხბურთო კლუბი „ალაზანი“ ააიპ „რევაზ მინდორაშვილის სახელობის გურჯაანის ჭიდაობის სკოლის“ ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა.

2016 წლის განმავლობაში დაფინანსდება ჭადრაკის, ფეხბურთის, ჭიდაობის (ქართული, თავისუფალი, ძიუდო), კრივის, რაგბის, მკლავჭიდის, კალათბურთის, ფრენბურთის და კარატეს შემსწავლელი წრეები. ჩატარდება კომპლექსური სპარტაკიადები.

სპორტულ სკოლებში სულ დასაქმებულია 30 მწვრთნელი, რომლებიც ემსახურებიან 550 ბავშვის აღზრდას.



ა.ბ) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები: ტურნირი მკლავჭიდში, კომპლექსური სპარტაკიადა მოსწავლეთა შორის, საგაზაფხულო პირველობა მინი ფეხბურთში, გურჯაანის ღია პირველობა რაგბში, ფეხბურთში, ზურაბ ზურაბაშვილის ხსოვნის ტურნირი ფრენბურთში, კომპლექსური სპარტაკიადა მოსწავლეთა შორის, რეგიონალური ტურნირი კრივში, ტრადიციული ტურნირი ძიუდოში კადეტთა შორის, დიდი საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, საშობაო ტურნირი ჭადრაკში, ღია პირველობა კროსში და სხვა ტრადიციული სპორტული ტურნირები და ღონისძიებები.

აღნიშნული ღონისძიებების ჩატარება ხელს შეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ახალგაზრდობის ჩართულობას სპორტულ ცხოვრებაში.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ქვეყნის ნაკრები გუნდები შეივსება ახალგაზრდა პერსპექტიული გურჯაანელი სპორტსმენებით;
- სპორტის სხვადასხვა სახეობაში სპორტსმენთა წარმატებული გამოსვლა;
- სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ბავშვები და მოზარდები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სპორტულ ჯგუფებსა და სექციებში ჩაბმულ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობის ზრდა.
- სპორტულ ტურნირებში პრიზიორების რაოდენობის ზრდა.

ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ობიექტების: ბიბლიოთეკების, მუზეუმების, სახელოვნებო სკოლების, თეატრების ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებები, მათ შორის, სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

ბ.ა) კულტურული ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტი აფინანსებს ააიპ „გურჯაანის საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანებას“ – მკითხველთა სწრაფი და სრული დაკმაყოფილება მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით (ბეჭდური, ხელნაწერი და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები), ხელსაყრელი პირობების შექმნის, პროგრესის შემოქმედებითი განვითარების, შესაბამისი პროფილის საბიბლიოთეკო დოკუმენტების შეგროვების, დაცვის და ამ დოკუმენტებით მოსახლეობის მომსახურების მიზნით.

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „გურჯაანის მუნიციპალური კულტურის ცენტრი“. რომლის მიზანია კულტურული მემკვიდრეობის, ქართული ფოლკლორის, ხელოვნების სხვა დარგების დაცვა და პოპულარიზაცია, მოსახლეობის შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენა და განვითარება. მუნიციპალიტეტი აფინანსებს ააიპ „გურჯაანის სამუსიკო სკოლების გაერთიანებას“ და ააიპ „გურჯაანის სამხატვრო სკოლას“. სასწავლებელი მოიცავს შემდეგ დარგებს: საფორტეპიანო, ვიოლინო, მუზიკირება, სამხატვრო ხელოვნება. სახელოვნებო სასწავლებელი ამზადებს კადრებს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გასაგრძელებლად. ასევე ფინანსდება ააიპ „მრავალჟამიერი 1“, რომლის მიზანია ასწავლოს და შეინარჩუნოს ქართული ხალხური ფოლკლორული სიმღერები.

ააიპ „ველისციხის თეატრის“ და სსიპ „ქ. გურჯაანის თოჯინების თეატრის“ დაფინანსება ხორციელდება თეატრის ძირითადი ფუნქციების, მიზნებისა და საქმიანობისათვის, კერძოდ, სხვადასხვა ტიპის წარმოდგენებისა და შემოქმედებითი პროექტების განხორციელების, თეატრალური ხელოვნების პროპაგანდისა და მოსახლეობის ფართო ფენების მხატვრული აღზრდა-დაოსტატება ხელშეწყობის მიზნით.



